



## ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

### დადგენილება №12

2016 წლის 31 მარტი

ქ. ახალციხე

“ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 19 თებერვლის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

#### მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება “ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 19 თებერვლის N14 დადგენილებით ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge); სარეგისტრაციო კოდი - 010250050.35.138.016199) დამტკიცებულ დანართში:

მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) გარემოს დაცვისა და აგრარულ საკითხთა განყოფილება;“

#### მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ახალციხის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ლომიძე